

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ - საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს

შპს „დაგი +“ -ის დირექტორის

გიგა ფალიანის

სკრინინგის განცხადება

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანის მიმდებარე ტერიტორიაზე კომპანია შპს „დაგი +“ -ს (ს/კ 412671657) დაგეგმილი აქვს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია.

იმის გათვალისწინებით, რომ შპს „დაგი +“ (ს/კ 412671657) საწარმოს საქმიანობა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის მე-5 პუნქტის, 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობაა, იმავე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას, გზშ-ს ჩატარების საჭიროების მიზნით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა საწარმოს სკრინინგის ანგარიში.

გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი; სკრინინგის განაცხადი 1 ეგზემპლარად და დოკუმენტის ელექტრონული ვერსია sph ფაილებთან ერთად

პატივისცემით,
შპს „დაგი +“ (ს/კ 412671657)
დირექტორი:
გიგა ფალიანი (პ/ნ21001009400)
ტელ: 596-22-22-12

გიგა ფალიანი

[გ.ფალიანი]

10.03.2023.

შპს „დაგი +“

თელავის მუნიციპალიტეტი სოფელი ვარდისუბანი

ქვიშა-ხრემის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს

მოწყობა-ექსპლუატაციის

ს კ რ ი ნ ი ნ გ ი ს ა ნ გ ა რ ი შ ი

შემსრულებელი : შპს „ელსჰაუსი“
დირექტორი: ზ.კვაბჭიერიძე
ტელ: 577-74-77-83



დამკვეთი: შპს „დაგი+“ (ს/კ412671657)
დირექტორი: გიგა ფალიანი
ტელ: 596-22-22-12

ქ. ჟუთაიანი.

ქ. ჟუთაიანი 2023 წელი

შინაარსი

შესავალი -----გვ. 3

1. ძირითადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლისა და დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ -----გვ.4
2. საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა და საწარმოს საქმიანობის ზოგადი აღწერა ___გვ.5
3. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის აღწერა და ინფრასტრუქტურის ელემენტები ___გვ.6
4. საწარმოს ნედლეულით მომარაგება -----გვ.7-9
5. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება -----გვ.7-9
6. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება -----გვ.9-10
7. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე -----გვ.9-10
8. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი მახასიათებელი სიდიდეები) -----გვ.10
9. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების რაოდენობის ანგარიში ___გვ.11-14
10. ხმაურის გავრცელება და ზემოქმედება -----გვ.15
11. ნიადაგის, გრუნტის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურება -----გვ.15
12. საშიში გეოლოგიური მოვლენების განვითარების რისკი -----გვ.16
13. ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე -----გვ.16
14. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება -----გვ.17
15. ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება, ნარჩენებით
16. გარემოს დაბინძურების რისკები -----გვ.17
17. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე -----გვ.17
18. კუმულაციური ზემოქმედება -----გვ.17-18
19. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება -----გვ.24
20. დანართი -----გვ. 25

შესავალი

წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში ეხება თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში კომპანია შპს „დაგი“-ის (ს/კ412671657) სასარგებლო წიაღისეულის (ქვიმა-ხრემის) გადამუშავების საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტს.

საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის შპს „დაგი +“-ის მიერ დაგეგმილი საქმიანობა გულისხმობს სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებას (ქვის დამტვრევა). საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“-ს II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის თანახმად სასარგებლო წიაღისეულის (ქვიმა-ხრემის) გადამუშავება ამავე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას, გზშ-ს ჩატარების საჭიროების მიზნით.

საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისადგვარად ადრეულ ეტაპზე სამინისტროს წარუდგინოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება და სამინისტროსგან მიიღოს გადაწყვეტილება ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა უნდა მოიცავდეს: მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ თუ, სამინისტრო დაადგენს, რომ დაგეგმილი საქმიანობა არ ექვემდებარება გზშ-ს, განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავებული იქნა შპს „დაგი +“-ის ქვიმა-ხრემის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიში.

1. ძირითადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლისა და დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ
 ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში N1
 ცხრილი N1

ძირითადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ	
საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „დაგი +“
საიდენტიფიკაციო კოდი	(ს/კ 412671657)
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ.ქუთაისი, წერეთლის ქ, N192
საქმიანობის განხორციელების ადგილის ფაქტიური მისამართი, საკადასტრო კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი სოფელი ვარდისუბანი (საკადასტრო კოდი: 53.08.39.600)
საქმიანობის სახე	სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამუშავება
დირექტორი	გიგა ფალიანი
საკონტაქტო ტელეფონი	596 222 212
ელექტრონული ფოსტა	Ltd.elshouse@gmail.com
საკონსულტაციოს ფირმა	შპს „ელსჰაუსი“
საკონტაქტო ტელეფონი	577-74-77-33
დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები	
საქმიანობის განხორციელების ადგილი	თელავის მუნიციპალიტეტი სოფელი ვარდისუბანი
განთავსების ადგილის კოორდინატი	X -534654.9 Y- 4642113.5
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	180 მ
საპროექტო წარმადობა	
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	სხვა და სხვა ფრაქციის ღორღი და ქვიშა
საპროექტო წარმადობა	50მ ³ /სთ;
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	120 000კუბ.მ/წელ ქვიშა-ხრეში (192 000 ტ)
მეთოდი	მშრალი
საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოყენების გარდა)	----
სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში	300 დღე
ტექნოლოგიურ პროცესების ხანგრძლიობა დღე-ღამეში,სთ	8 სთ/დღ

საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში N2.

ცხრილი N2

წერტ.N	წერილის GPSკოორდინატები	
	X	Y
1	534654.9	4642113.595
2	534646.2	4642106.09
3	534634.1	4642085.77
4	534623.1	4642071.165
5	534609.3	4642060.795
6	534597.7	4642055.29
7	534592.6	4642049.79
8	534591.6	4642046.645
9	534593.9	4642042.38
10	534644.6	4642038.52
11	534654.5	4642037.01
12	534667.8	4642034.97
13	534687.2	4642037.51
14	534696.2	4642040.575
15	534684.1	4642061.975
16	534674.2	4642113.595

2. საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა და საწარმოს საქმიანობის ზოგადი აღწერა

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში, საწარმოო ზონაში კომპანია შპს „დაგი +“-ს (ს/კ412671657) დაგეგმილი აქვს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია.

ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ დამახარისხებელი საწარმოს მოწყობა გათვალისწინებულია კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია: 53.08.39.600) თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში ტერიტორიის ფართობია 4002 კვ.მ. კოორდინატია: (X-534654.9, Y-4642113.5)

საპროექტო ტერიტორიას ირგვლივ ესაზღვრება სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები (შენობა-ნაგებობებით), თავისუფალი ტერიტორიები, კერძოდ: საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს, დასავლეთით 180მ-ის

დაშორებით გადის მოქმედი ცენტრალური საავტომობილო გზა. ჩრდილოეთით - უახლოესი მდინარე - თურდო, რომელიც საწარმოს საპროექტო ტერიტორიის საზღვრიდან დაშორებულია 120მ მანძილზე. აღმოსავლეთით 90მ მოშორებით ჩამოედინება მდ. თურდოს მცირე შენაკადი (უსახელო დეღე), დასავლეთი მხრიდან ესაზღვრება სახლემწიფო საკუთრებაში არსებული ტერიტორიები.

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი ფიქსირდება სამხრეთ-დასავლეთით 350 მ მანძილით მოშორებით, სოფელ ვარდისუბანის მოსახლეობა. უახლოესი საცხოვრებელი სახლი განთავსებულია საპროექტო ტერიტორიიდან დასავლეთით 180 მ. მანძილზე (საკ. კოდი: 53.08.39. 150).

პროექტის მიხედვით სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს წარმადობა საათში შეადგენს 50მ³ -ს, მსხვრევის პროცესის ხანგრძლივობა დღე-ღამეში შეადგენს 8 სთ-ს, სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში არის 300 დღე. სამუშაო საათების რაოდენობა 2400სთ წელიწადში. ამ პარამეტრების გათვალისწინებით საწარმო წელიწადში განახორციელებს 120 000 მ³ /წელ (192 000 ტ) ქვიშა-ხრემის დამსხვრევას და ორი ფრაქციის 00-40მმ და 00-80 მმ ქვიშა-ხრემის მიღებას.

საწარმოში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა იქნება 6 კაცი, რომლებიც იმუშავებენ ერთცვლიანი რეჟიმით, 8 სთ-იანი სამუშაო დღით.

საპროექტო ტერიტორიაზე ასევე განთავსდება მუშა პერსონალისთვის ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ერთი ბლოკ-კონტეინერის ტიპის შენობა.

3. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის აღწერა და ინფრასტრუქტურის ელემენტები

საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი (ხე-მცენარეები) არ არის წარმოდგენილი. საპროექტო ტერიტორია მომანდაკებულია.

ცენტრალური გზიდან საპროექტო ტერიტორიამდე მოწყობილია მისასვლელი გრუნტის 180მ სიგრძის გზა. საპროექტო ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის გადამამუშავებელი ხაზის მოწყობა დაგეგმილია მიწის ნაკვეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდება გადამამუშავებელი ხაზის სამსხვრევი დანადგარი და ნედლეულის და საწყობების ღია საწყობები.

საწარმოს ტერიტორიაზე იმოქმედებს ქვიშა-ხრემის გადამამუშავებელი ერთი ხაზი. ქვიშა-ხრემის მსხვრევის პროცესი განხორციელდება მშრალი მეთოდით.

საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ტექნოლოგიური და დამხმარე ინფრასტრუქტურის ელემენტები მოიცავს ქვის მსხვრევისა და დახარისხებისათვის გამოყენებულ შემდეგ დანადგარებს: ყბებიანი მსხვრევანა, ლენტური ტრანსპორტიორი, ნედლეულისა და პროდუქციის ღია საწყობები. (იხ. დანართი, სიტუაციური ნახაზი)

ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ დაგეგმილია შემდეგი ინფრასტრუქტურის ელემენტების მოწყობა: ქვიშა-ხრეშის მიმღები ფოლადის ბუნკერი, ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი დანადგარი (ყბებიანი სამტვრევი ერთი ცალი), ღია საწყობები (ქვიშა-ხრეშისა და ქვიშა-ღორღის საწყობები), საოპერატორო შენობა (ფართით 3კვ.მ), ერთი ბლოკ-კონტეინერის ტიპის შენობა და მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი (ფართით 15 კვ.მ.)

ნედლეული შემოიზიდება ავტოთვიმცლელებით და დასაწყობდება ნედლეულის ღია საწყობზე, საიდანაც დამტვირთელის მეშვეობით ჩაიყრება მიმღებ ბუნკერში.

ტექნოლოგიური პროცესის სქემა ითვალისწინებს შემდეგი ოპერაციების თანმიმდევრობას:

- ქვიშა-ხრეშის (ბალასტის) შემოტანა
- ღია საწყობებზე განთავსება
- ქვიშა-ხრეშის მიმღები ბუნკერში ჩაყრა
- ბუნკერიდან ქვიშა-ხრეშის ჩაყრა ყბებიან სამტვრევში
- მიღებული (0-40მმ და 0-80 მმ) ქვიშა-ღორღის განთავსება ღია საწყობებში

პროექტის მიხედვით სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს წარმადობა საათში შეადგენს 50მ³ -ს, მსხვრევის პროცესის ხანგრძლივობა დღე-ღამეში შეადგენს 8 სთ-ს, სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში არის 300 დღე. სამუშაო საათების რაოდენობა 2400სთ წელიწადში. ამ პარამეტრების გათვალისწინებით საწარმო წელიწადში განახორციელებს 120 000 მ³ /წელ (192 000 ტ) ქვიშა-ხრეშის დამსხვრევას და ორი ფრაქციის (00-40მმ და 00-80 მმ) ქვიშა-ხრეშის მიღებას.

საწარმოში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა იქნება 6 კაცი, რომლებიც იმუშავებენ ერთცვლიანი რეჟიმით და 8 სთ-იანი სამუშაო დღით.

საჭირო ნედლეულის (ქვიშა-ხრეში) საწარმოში შემოტანა ხდება ავტოთვიმცლელებით და იყრება საწამოს ტერიტორიაზე, შესაბამის ნედლეულის ღია სასაწყობე მოედნაზე, საიდანაც ბულდოზერის საშუალებით ჩაიტვირთება მიმღებ ბუნკერში, მიმღები ბუნკერიდან ნედლეული მიეწოდება ყბებიან სამსხვრევს.

მიღებული ფრაქცია (00-40მმ და 00-80მმ) ზომის ღორღი იყრება ღია საწყობებში. ნედლეულის და პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის საწარმო გამოიყენებს არსებულ საავტომობილო და საწარმომდე მისასვლელ გრუნტის გზას, რომლის მდგომარეობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს კომპანია.

კომპანია ნედლეულის შესყიდვას და საწარმოში გადასამუშავებლად შეტანას მოახდენს ლიცენზირებული კარიერიდან (ლიცენზია N10002970).

საწარმოდან პროდუქციის გატანა განხორციელდება ავტოტრანსპორტით. ნედლეულის ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული იქნება ცენტრალურ ავტომაგისტრალი და საწარმომდე მისასვლელი გრუნტის გზა. საწარმოს ტერიტორიაზე მისასვლელი გრუნტის გზა არ გადის დასახლებულ პუნქტზე.

საწარმოს საპროექტო წარმადობა საათში არის 50მ³-ს, რაც საშუალოდ შეადგენს 15-20 გადაზიდვას დღეში. საწარმომდე მისასვლელი გზების კატეგორიების შესაბამისად გადაზიდვის აღნიშნული ინტენსივობა მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს სატრანსპორტო ნაკადზე. ასევე, პორდუქციის ტრანსპორტირება განხორციელდება საფარველით აღჭურვილი ავტოტრანსპორტით. საჭიროების შემთხვევაში მოხდება გზების მორწყვა.

4. საწარმოს ნედლეულით მომარაგება

საწარმოში ნედლეულის შემოტანა და პროდუქციის გატანა განხორციელდება ავტოტრანსპორტით. საწარმოს ტერიტორიაზე მისასვლელი გზა არ გადის დასახლებულ პუნქტზე. საწარმო ცენტრალურ ავტომაგისტრალს უკავშირდება 180მ სიგრძის გრუნტის გზით.

საწარმოს საპროექტო წარმადობა საათში შეადგენს 50მ³-ს რაც საშუალოდ შეადგენს 15-20 გადაზიდვას დღეში. საწარმომდე მისასვლელი გზების კატეგორიების შესაბამისად გადაზიდვის აღნიშნული ინტენსივობა მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს სატრანსპორტო ნაკადზე. ასევე, პორდუქციის ტრანსპორტირება განხორციელდება საფარველით აღჭურვილი ავტოტრანსპორტით.

საწარმოს ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის შემოზიდვა განხორციელდება მდ. თურდოს ნაპირას არსებული უახლოესი ლიცენზირებული (ლიცენზია N10002970) კარიერიდან, კარიერი მდებარეობს საპროექტო ტერიტორიიდან 8 კმ -ის დაშორებით (პირდაპირი მანძილი). კომპანია შპს დაგი +” -ის მიერ ნედლეულის საწარმოში შემოტანა/ტრანსპორტირება მოხდება უკვე არსებული საავტომობილო გზების მეშვეობით. აღნიშნული გზა არ კვეთს დასახლებულ პუნქტს.

5. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება

საპროექტო საწარმოს როგორც მოწყობის ისე ექსპლუატაციის ეტაპზე ესაჭიროება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო მიზნით, ტექნოლოგიაში წყალი არ გამოიყენება, მსხვრევის პროცესი განხორციელდება მშრალი მეთოდით. ქვიშა-ხრემის სამსხვრევ საწარმოს საწარმოო დანიშნულების წყალი არ ესაჭიროება. რაც შეეხება საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყალი შემოიტანება გადასატანი რეზერვუარების საშუალებით, როგორც დასახლებული პუნქტის წყალსადენიდან, ასევე საცალო ვაჭრობის ქსელიდან. საწარმოში

დასაქმებული პერსონალის რაოდენობა იქნება 6 კაცი, რომლებიც იმუშავენ დღეში ერთცვლიანი 8სთ-იანი რეჟიმით. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით მოხმარებული წყლის რაოდენობა დამოკიდებულია დასაქმებული პერსონალის და ერთ მომუშავეზე დახარჯული წყლის რაოდენობაზე. ერთ სულზე წყლის მაქსიმალური ხარჯი დღის განმავლობაში შეადგენს 45 ლ-ს. წელიწადში 300 სამუშაო დღის და ერთცვლიანი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოსაყენებელი წყლის საანგარიშო ხარჯი იქნება:

$$6 \times 45 = 270 \text{ ლ/დღეში, ანუ } 0,27 \text{ მ}^3/\text{დღეში,}$$

$$0,27 \text{ მ}^3 \times 300 \text{ დღე} = 81 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

საწარმოს ოპერირებისას მოსალოდნელია სასმელ-სამეურნეო წყლების წარმოქმნა. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე არ არის საკანალიზაციო ქსელი, ამიტომ კომპანიის საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების შეკრება მოხდება საასენიზაციო ორმოში, რომლის მომსახურებაც მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოს ოპერირებისას მოსალოდნელია სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების წარმოქმნა. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ჩამდინარე წყლების ხარჯი არ აღემატება დღე-ღამეში 1 კუბ.მ-ს დასაშვებია ამოსანიჩბი ორმოს მოწყობა. რომელიც პერიოდულად გაიწმინდება საასენიზაციო ავტომატური ხელშეკრულების საფუძველზე.

სანიაღვრე ჩამდინარე წყლების წარმოქმნა ხდება ატმოსფერული ნალექების დროს.

საწარმოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექების შედეგად წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების მოცულობა დამოკიდებულია ატმოსფერული ნალექების რაოდენობაზე და ტერიტორიის ზედაპირის მახასიათებელ პარამეტრებზე. არსებული მეთოდოლოგიით სანიაღვრე წყლების მოცულობა იანგარიშება ფორმულით:

$$Q=10 \times F \times H \times K \text{ მ}^3/\text{წელ}$$

სადაც,

Q - სანიაღვრე წყლების მოცულობა მ³/დღე

F - ტერიტორიის ფართობი ჰა-ში, მიღებულია 0,40 ჰა

H - ნალექების წლიური მაქსიმალური რაოდენობა (ონის რაიონში ნალექების

წლიური მაქსიმალური რაოდენობა 1190 მმ წელიწადში, საათური მაქსიმუმი 11მმ)

K- კოეფიციენტი რომელიც დამოკიდებულია საფარის ტიპზე, რაც მოცემულ შემთხვევაში ხრეშის საფარისთვის აღებულია 0,04.

გათვლების შედეგები შემდგენარია:

$$Q_{\text{წელ}} = 10 \times 0,40 \times 1190 \times 0,04 = 190,4 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

$$Q_{\text{სთ}} = 10 \times 0,0,40 \times 11 \times 0,04 = 1,76 \text{ მ}^3/\text{სთ}$$

სანიაღვრე წყლების მისაღებად საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი იქნება გრუნტის ავზი, ტევადობით 8 კუბ.მ, მისი გაბარიტებია: სიგრძე - 3მ, სიგანე- 3მ, სიღრმე - 1მ, მთლიანი მოცულობა 9 კუბ.მ, სასარგებლო მოცულობა 8 კუბ.მ აქ შეგროვილი წყალი გამოიყენებული იქნება ტერიტორიის მოსარწყავად. მდ თურდოში სანიაღვრე წყლების ჩაშვება არ მოხდება.

6. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყარო იქნება ქვიშა-ხრეში სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადაგრი.

ქვის მსხვრევისა და დახარისხების პროცესში ატმოსფეროში გამოიყოფა არაორგანული მტვერი SiO_2 -ის 20% -მდე შემცველობით

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მტვერის გამოყოფის და გაფრქვევის წყაროებს წარმოადგენს:

- ნედლეულის განთავსება ღია საწყობზე
- გაფრქვევა ნედლეულის ღია საწყობიდან
- ნედლეულის ჩაყრა მკვებავ ბუნკერში
- მკვებავიდან ტრანსპორტიორზე ჩამოტვირთვა
- ყბებიანი მსხვრევანა
- როტორული მსხვრევანა
- ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება
- მბრუნავი ვიბროცხავი
- გაფრქვევა მიღებული პროდუქციის ღია საწყობებიდან

7. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი მახასიათებელი სიდიდეები

საწარმოს ტერიტორიაზე მოქმედებს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი ერთი ხაზი. საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა ინერტული მასალის მტვერი (არაორგანული მტვერი) ამ ნივთიერების კოდი და ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია მოცემულია ცხრილში N 2

ცხრილი 2. ნივთიერებების მახასიათებელი სიდიდეები

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია მგ/მ ³		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
2908	მტვერი (არაორგანული)	0,5	0,15	3

საწარმოში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის შემდეგი წყაროები:

1. ნედლეულის (ქვიშა-ხრეშის) განთავსება ღია საწყობზე (გ-1 წყარო)
2. გაფრქვევა ნედლეულის (ქვიშა-ხრეში) საწყობიდან (გ-2 წყარო)
3. ნედლეულის მიმღებ ბუნკერში ჩაყრა (გ-3 წყარო)
4. ყბებიანი სამსხვრევი (გ-4 წყარო)
5. ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება (გ-5 წყარო)
6. მზა პროდუქციის (ქვიშა-ლორდის) ჩამოყრა (გ-6)
7. მზა პროდუქციის (ქვიშა-ლორდის) ღია საწყობებზე განთავსება (გ-7 და გ-8 წყარო)
8. გაფრქვევა მზა პროდუქციის (ქვიშა-ლორდის) ღია საწყობიდან (გ-9 და გ-10 წყარო)

8. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების რაოდენობის ანგარიში

საწარმოს მიერ ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში მოხდა „დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო და აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის(საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება N435) მიხედვით“.

➤ ნედლეულის (ქვიშა-ხრემის) ღია საწყობზე (გ-1 წყარო) განთავსებისას ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 10^6 / 3600 \text{ გ/წმ}$$

სადაც

k_1 - მასალაში მტვრის ფრაქციის წილია

k_2 - მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილია;

k_3 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

k_4 - გარეშე ზემოქმედებისგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტია;

k_5 - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

k_7 - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;

k_9 - შემასწორებელი კოეფიციენტი, ავტოთვითმცლელებიდან 10 ტონამდე წონის მასალის ზალპური ჩამოცლისას აიღება 0,2, 10 ტ-ზე მეტის შემთხვევაში აიღება 01, სხვა შემთხვევაში იგი აიღება 1 -ს ტოლი.

B - გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტია;

G - წარმადობა 80 ტ/სთ-ში

აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები აიღება მეთოდულ კაპში მოცემული დანართებიდან.

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$k_1 - 0,05$; $k_2 - 0,03$; $k_3 - 1,2$; $k_4 - 1,0$; $k_5 - 0,01$; $k_7 - 0,4$; $k_9 - 0,1$; $B - 0,5$; $G - 80 \text{ ტ/სთ}$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტენსივობა იქნება:

$$M = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 1,0 \times 0,01 \times 0,4 \times 0,1 \times 0,5 \times 80 \times 10^6 / 3600 = 0,0027 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0027 \times 2400 \times 3600 / 10^6 = 0,022 \text{ ტ/წელ}$$

➤ გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის (ქვიშა-ხრემის) საწყობიდან (გ-2 წყარო)

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = k_3 \times k_5 \times k_6 \times k_7 \times q \times f \text{ გ/წმ}$$

სადაც

$k_3 = 1,2$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$k_5 = 0,1$ - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$k_6 = 1,45$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტი და მერყეობს 1,3-დან 1,6-მდე

$k_7 = 0,4$ გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;

$q = 0,002$ - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან გ/წმ

$f = 400 \text{ მ}^2$ - ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვრ}} = 1.2 \times 0.1 \times 1,45 \times 0.4 \times 0.002 \times 400 = 0.055 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,055 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 1,73 \text{ ტ/წელ}$$

- ნედლეულის მიმღებ ბუნკერში ჩაყრისას (გ-3 წყარო) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება გ-1 წყაროს ანალოგიურად:

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$$K_1 - 0,05; K_2 - 0,03; K_3 - 1,2; K_4 - 1,0; K_5 - 0,01; K_7 - 0,4; K_9 - 0,1; B - 0,4; G - 80 \text{ ტ/სთ}$$

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 1,0 \times 0,01 \times 0,4 \times 1 \times 0,4 \times 80 \times 10^6 / 3600 = 0,021 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,021 \times 2400 \times 3600 / 10^6 = 0,174 \text{ ტ/წელ}$$

- ყბებიანი სამსხვრევიდან (გ-4 წყარო) გაფრქვევის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით: $G_{\text{მტვ}} = G_{\text{საშ.}} \times g \times N \times t \times k / 10^3$

სადაც $G_{\text{საშ.}}$ არის გადასამუშავებელი მასალის რაოდენობა რომელიც ტოლია 80 ტ/სთ. (მტვრის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი 1ტ მასალის მსხვრევისას შეადგენს 0,91კგ/ტ. წელიწადში საწარმოს სამუშაო საათების რაოდენობის მიხედვით (300დღე/წელ X 8სთ = 2400სთ)

$$G = 80 \times 0,91 \times 10^3 = 0.024 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0.024 \times 10^6 / 2400 \times 3600 = 0.0029 \text{ გ/წმ}$$

- მზა პროდუქციის (ქვიშა-ლორღის) ჩამოყრა ღია საწყობზე (გ-5 წყარო) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება გ-1 წყაროს ანალოგიურად:

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$$K_1 - 0,04; K_2 - 0,02; K_3 - 1,2; K_4 - 1,0; K_5 - 0,01; K_7 - 0,4; K_9 - 1; B - 0,4; G - 80 \text{ ტ/სთ}$$

$$M = 0,04 \times 0,02 \times 1,2 \times 1,0 \times 0,01 \times 0,4 \times 1 \times 1,0 \times 80 \times 10^6 / 3600 = 0,028 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,028 \times 2400 \times 3600 / 10^6 = 0.23 \text{ ტ/წელ}$$

- მზა პროდუქციის (ქვიშა-ლორღის) ღია საწყობებზე განთავსებისას (გ-6 და გ-7 წყარო)

გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება:

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$$K_1 - 0,04; K_2 - 0,02; K_3 - 1,2; K_4 - 1,0; K_5 - 0,7; K_7 - 0,5; K_9 - 1; B - 0,4; G - 80 \text{ ტ/სთ}$$

$$M = 0,04 \times 0,02 \times 1,2 \times 1,0 \times 0,7 \times 0,5 \times 1 \times 0,4 \times 80 \times 10^6 / 3600 = 0,084 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,084 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 0,264 \text{ ტ/წელ}$$

ანალოგიური იქნება ანგარიში გ-7 წყაროსთვის

➤ გაფრქვევა ქვიშა- ლორღის ღია საწყობებიდან (გ-8 და გ-9 წყარო)

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = k_3 \times k_5 \times k_6 \times k_7 \times q \times f \text{ გ/წმ}$$

სადაც

$K_3 = 1,2$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_5 = 0,1$ - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_6 = 1,45$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტი და მერყეობს 1,3-დან 1,6-მდე

$K_7 = 0,5$ გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

$q = 0,002$ - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან გ/მ² წმ

$f = 200\text{მ}^2$ - ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვრ}} = 1,2 \times 0,1 \times 1,45 \times 0,5 \times 0,002 \times 200 = 0,034 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,034 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 0,107 \text{ ტ/წელ}$$

ანალოგიური იქნება გ-9 წყაროსთვის წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა

საწარმოს მიერ წელიწადში 120 000 მ³ (192 000ტ) ბალასტის გადამუშავების შედეგად ატმოსფეროში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების ჯამური რაოდენობა იქნება:

არაორგანული მტვერი

$$M_{\text{მტვრ}} = 0,345 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 2,92 \text{ ტ/წელ}$$

9. საწარმოს მოქცობა- ექსპლუატაციისას გარემოზე შესაძლო ზემოქმედება

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება განხილულია შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობაზე შესაძლო ზემოქმედება; ხმაურის გავრცელება; ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მოსალოდნელი დაბინძურება; ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედება და სხვა.

საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებია: ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერების (მტვრის) გამოყოფა დაბინძურების სტაციონალური წყაროდან, ხმაური და ვიბრაცია, საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ზემოქმედება ლანდშაფტზე.

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით, ხმაურის გავრცელებით, ნიადაგის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების შესაძლო დაბინძურებით, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებით, ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებით და სხვა. რისკების შეფასების დროს გათვალისწინებული იქნა საპროექტო საწარმო ტერიტორიის განთავსება, უახლოესი საცხოვრებელი სახლის და სხვა სამრეწველო და ინფრასტრუქტურული ობიექტების მდებარეობა.

საწარმოს ფუნქციონირებით არ არის მოსალოდნელი ლანშაფტზე და ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება.

საწარმოს ინფრასტრუქტურა განთავსებული იქნება ვაკე ადგილზე. ტერიტორია მთლიანად დაფარულია ინერტული მასალით და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არსებობს. საპროექტო ტერიტორია მოხრეშილია და მცენარეული საფარი პრაქტიკულად არ ფიქსირდება.

ტრანსპორტის გადაადგილება განხორციელდება მხოლოდ არსებული მოწყობილი გზებით, შესაბამისად ახალი გზის მოწყობა ან/და მცენარეული საფარის მოხსნა საჭიროებას არ წარმოადგენს. სატრანსპორტო ნაკადზე იმოქმედებს საწარმოს ტერიტორიიდან ნედლეულის - ქვიშა-ღორღის გატანა/რეალიზაცია, რაც საწარმოს სრული საპროექტო სიმძლავრით მუშაობის შემთხვევაში ერთ სამუშაო დღეში შეადგენს 15-20 რეისის განხორციელებას. პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის საწარმო გამოიყენებს საავტომობილო და საწარმომდე მისასვლელ გრუნტის გზას, რომლის მდგომარეობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს კომპანია. ასევე ტრანსპორტირება განხორციელდება საფარებით აღჭურვილი ავტოტრანსპორტით. საჭიროების შემთხვევაში ამტვერების თავიდან ასაცილებლად მოხდება გრუნტის გზის მორწყვა.

საწარმოს ფუნქციონირებისას ზემოქმედება ხორციელდება ატმოსფერულ ჰაერზე ინერტული მასალის სამსხვრევი საამქროს მუშაობის შედეგად. ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა მხოლოდ ინერტული მასალის მტვერი, რომელიც არ მიეკუთვნება საშიშ ან ტოქსიკურ ნივთიერებას, ამავ დროს საწარმოს სიახლოვეს არ არის საცხოვრებელი სახლი და დაწესებულებები.

საწარმოს ფუნქციონირებისას ხმაურის გამომწვევი დანადგარი არის სამსხვრევი, რომელსაც აქვს გარკვეული ხმაური, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია 0,18 კმ-ით, ამ მანძილზე ხმაურის გავლენა იქნება უმნიშვნელო.

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის დროს ნარჩენები არ წარმოიქმნება, ნედლეული უნარჩენოდ გარდაიქმნება პროდუქციად.

ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია დანადგარების შეკეთების დროს და მუშა მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო ოთახში.

მოწყობილობების შეკეთების დროს შესაძლებელია წარმოიქმნას არასახიფათო და სახიფათო ნარჩენები, ზეთით დაბინძურებული საწმენდი ნაჭრები ან სათადარიგო ნაწილები. ნარჩენებით გარემოს დაბინძურება მოსალოდნელია მისი არასათანადო მართვით, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გარემოში დაყრით და გაფანტვით.

სახიფათო ნარჩენებიდან წელიწადში მოსალოდნელია დაახლოებით 100 კგ ნარჩენი ზეთის წარმოქმნა (სამსხვრევეებს გააჩნიათ ზეთის რეზერვუარები სადაც ზეთის გამოცვლა ხდება წელიწადში ერთხელ). ნამუშევარი ზეთების დროებითი შენახვის მიზნით მოეწყობა სახიფათო ნარჩენების საცავი, სადაც განთავსდება ლითონის კასრებში მოთავსებული ნარჩენი ზეთი. შემდგომი მართვის მიზნით გადაცემული იქნება სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორებზე.

საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად დაიდგმება სპეციალური კონტეინერები, ხოლო მათი გატანა მოხდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოს ფუნქციონირებით არ არის მოსალოდნელი ლანშაფტზე და ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება.

საწარმოს ფუნქციონირებისას ზემოქმედება ხორციელდება ატმოსფერულ ჰაერზე ინერტული მასალის სამსხვრევი საამქროს მუშაობის შედეგად. ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა მხოლოდ ინერტული მასალის მტვერი, რომელიც არ მიეკუთვნება საშიშ ან ტოქსიკურ ნივთიერებას, ამავე დროს საწარმოს სიახლოვეს არ არის საცხოვრებელი სახლი და დაწესებულებები.

საწარმოს ფუნქციონირებისას ხმაურის გამომწვევი დანადგარი არის ყბებიანი სამსხვრევი, რომელსაც აქვს გარკვეული ხმაური, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია 180 მ-ით, ამ მანძილზე ხმაურის გავლენა იქნება უმნიშვნელო.

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის დროს საწარმოო ნარჩენები არ წარმოიქმნება, ნედლეული უნარჩენოდ გარდაიქმნება პროდუქციად.

ამასთან განხორციელდება ტექნიკისა და ტრანსპორტის გამართულობის მუდმივი კონტროლი, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ზეთის გაჟონვისა და დაღვრის ალბათობა. საპროექტო ტერიტორია მოხრეშილია და მცენარეული საფარი პრაქტიკულად არ ფიქსირდება.

საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად დაიდგმება სპეციალური კონტეინერები, ხოლო მათი გატანა მოხდება ადგილობრივი კომუნალური სამსახურის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე.

10. ხმაურის გავრცელება და ზემოქმედება

საწარმოს მუშაობას თან სდევს ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე. საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს ყბიანი სამსხვრევი. ლიტერატურული მონაცემებით მოცემულ შემთხვევაში ხმაურის დონე შეადგენს 85 დბ-ს. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო დაშორებულია დასახლებული პუნქტიდან 180მ მანძილზე, ამ მანძილზე ხმაურის ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

დანადგარების მიერ შექმნილი ბგერითი წნევის დონეები (L) განისაზღვრება ფორმულით:

$$L=L_p-20lgr -\beta ar/1000-8\text{დბ} \quad (2.2)$$

სადაც: L

L_p არის მოწყობილობების მიერ გამოწვეული ბგერითი წნევის დონე, დბ. საწარმოს პირობებისათვის ის შეადგენს 85 დბ-ს.

r _ მანძილია წყაროდან მოცემულ ადგილამდე - 180 მ

β_a _ ატმოსფეროში ხმის ჩახშობის სიდიდეა დბ/კმ და მოცემულია ქვემოთ ცხრილ 5-ში

ატმოსფეროში ხმის ჩახშობის სიდიდე

ცხრილი 5

ოქტანური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირე	63	125	250	500	1000	2000	4000	8000
ხმისდახშობა დბ/კმ	0	0.7	1.5	3	6	12	24	48

ფორმულა 2.2.-ში მნიშვნელობების ჩასმის შემდეგ r – მანძილისათვის მიიღება ბგერითი სიმძლავრის დონეები იხ. ცხრილ 5.2.3-ში .

ცხრილი 5.1

ბგერითი სიმძლავრის დონეები

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული	ბგერითი წნევის დონეები დეციალებში, საწარმოდან r მანძილზე (მ)								
	10	20	50	180	200	250	300	350	400
63	32.00	25.98	18.02	6.89	5.98	4.04	2.46	1.12	-0.04
125	31.99	25.97	17.99	6.77	5.84	3.87	2.25	0.87	-0.32
250	31.99	25.95	17.95	6.62	5.68	3.67	2.01	0.59	-0.64
500	31.97	25.92	17.87	6.35	5.38	3.29	1.56	0.07	-1.24
1000	31.94	25.86	17.72	5.81	4.78	2.54	0.66	-0.98	-2.44
2000	31.88	25.74	17.42	4.73	3.58	1.04	-1.14	0.00	0.00
4000	31.76	25.50	16.82	2.57	1.18	0.00	0.00	0.00	0.00
8000	31.52	25.02	15.62	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

მაგრამ იმის გათვალისწინებით რომ საწარმო დაშორებულია საცხოვრებელი სახლიდან 180მ მანძილზე, ამ მანძილზე ხმაურის ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

მოცემულ შემთხვევაში საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის სტაციონარულ წყაროს წარმოადგენს ერთი ყბებიანი სამსხვრეველა, რომელიც უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია 180 მ-ით. უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ატმოსფეროში ბგერის მილევადობის შედეგად ხმაურის დონე შეადგენს 30,25 დბა-ს. რაც არ აღემატება დასაშვებ ნორმას.

ტექნიკური სახელმძღვანელოს მიხედვით, ხმის მილევადობა განისაზღვრება ფორმულით: $L_{pd2} = L_{pd1} + 20 \times \log(d1/d2)$, სადაც: L_{pd2} -ხმაურის დონე რეცეპტორთან; L_{pd1} -ხმაურის დონე $d1$ მანძილზე; $d1, d2$ - მანძილი საწყის წერტილში და რეცეპტორამდე; აღნიშნული ფორმულის გამოყენებით უახლოეს მოსახლესთან, საწარმოდან გამოწვეული ხმაური იქნება: 30,5 დბ. და ხმაურის გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

საწარმოს მუშაობა გათვალისწინებულია დღის საათებში. დღის პერიოდისათვის საცხოვრებელ და საძილე სათავსოებში აკუსტიკური ნორმები საქართველოს მთავრობის N398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დანართი 1-ს მიხედვით შეადგენს 35 დბა-ს.თუ ჩავთვლით, რომ საწარმოსა და დასახლებულ პუნქტს შორის ხმაურის სხვა წყარო არ არსებობს, 160 მ-თ დაცილებულ საანგარიშო წერტილში ბგერითი წნევის ოქტავური დონეები იანგარიშება ფორმულით: $L = L_p - 15lgr + 10lg \Phi - \beta r/1000 - 10lg \Omega$, დბა სადაც,

L_p - ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე; გამოყენებული მანქანა დანადგარების სიმძლავრეთა გათვალისწინებით იგი ტოლია 85 დბა.

Φ - ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

r - მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე; Ω - ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება: $\Omega = 4\pi$ -სივრცეში განთავსებისას; $\Omega = 2\pi$ - ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას; $\Omega = \pi$ - ორ წიბოიან კუთხეში; $\Omega = \pi / 2$ - სამ

წიბოიან კუთხეში; β - ატმოსფეროში ბგერის მილევადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონე იქნება:

$$L=85-15\lg 180+10\lg 2-10,5 \times 450/1000-10\lg 12,56=85-15 \times 2,944+10 \times 0,3-10,5 \times 0,50-10 \times 1,099=30,25$$

დბა

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ საწარმოს ხმაური დასახლებულ პუნქტამდე ვერ მიაღწევს. ამასთან დასახლებული პუნქტი მდებარეობს საწარმოს განთავსების დონიდან 35 მ სიმაღლეზე და დასახლებული პუნქტის მიმართულებით გაშენებულია ხემცენარეები, ამასთანავე საწარმო იმუშავებს მხოლოდ დღისით, ასევე თუ გავითვალისწინებთ, რომ საცხოვრებელი სახლის კაპიტალურ კედლებს აქვთ ხმაურის შთანთქმის უნარი, ლიტერატურული მონაცემებით (Борьба с шумом на производстве. Справочник. Е.Юдин. М.1985. გვერდი 173; 224) ღია გარემოში კაპიტალური კედლის ეფექტურობა შეადგენს 10-15დბ (A), შეიძლება დავასკვნათ, რომ საცხოვრებელ სახლებში საპროექტო საწარმოს გავლენა მოსალოდნელი არ არის, მით უმეტეს ვერ გადააჭარბებს მთავრობის N398 დადგენილებით დამტკიცებულ ნორმას (35დბა). საწარმოში დასაქმებულებზე ხმაურის გავლენის შესამცირებლად საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება სმენის დამცავი ინდივიდუალური საშუალებები, შრომის უსაფრთხოების წესების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საწარმოს ფუნციონირებისას წარმოქმნილი ხმაური უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს გარემოზე და ადამიანზე.

11. ნიადაგის, გრუნტის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურება

საქმიანობის განხორციელებისათვის შერჩეულ ტერიტორია მომანდაკებულია რაც მინიმუმამდე დაიყვანს ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელ ზემოქმედებას. მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები საწარმოს ტერიტორიიდან არ არსებობს, რადგან საწარმოო პროცესის მიმდინარეობის დროს გამოიყენება მხოლოდ ისეთი ნედლეული და მასალები, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს მიწისქვეშა წყლების დაბინძურებას.

ზედაპირულ წყლებზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საპროექტო ტერიტორიის უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტია მდ. თურდო, რომელიც საპროექტო ტერიტორიის საზღვრებიდან დაშორებულია 120 მ მანძილზე

ობიექტის ფუნქციონირებისას წარმოიქმნება სასმელ-სამეურნეო და სანიაღვრე წყლები, რისთვისაც პროექტით გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების შეკრება საასენიზაციო ორმოში და საწარმოო ჩამდინარე წყლებისთვის სანიაღვრე წყლების მისაღებად მოწყობილი იქნება გრუნტის ავზი, ტევადობით 8 კუბ.მ

კომპანიის მიერ უზრუნველყოფილი იქნება ტერიტორიის დაცვა დაბინძურებისაგან კანონმდებლობის შესაბამისად, რაც გამორიცხავს ზედაპირულ წყალზე უარყოფით ზემოქმედებას.

12. საშიში გეოლოგიური მოვლენების განვითარების რისკი

საწარმოს საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ რაიმე მნიშვნელოვანი სახის საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების ნიშნები არ აღინიშნება. ტერიტორიაზე არ არის დაგეგმილი მიწის სამშენებლო სამუშოების ჩატარება, კეთილმოწყობის სამუშეობის ჩატარება, რაც გამორიცხავს გეოლოგიური მოვლენების რისკს. გათვალისწინებული არ არის შენობის აშენება.

13. ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

საწარმოს საპროექტო ტერიტორიის არეალში ვიზუალური შეფასებით ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების არსებობა არ დაფიქსირებულა. ასევე ტერიტორიის უშულო სიახლოვეს არ არის დაცული ტერიტორიები.

14. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

საწარმოს მონტაჟი და შემდგომი ექსპლუატაცია გამოიწვევს ლანდშაფტის უმნიშვნელო ადგილობრივ, ლოკალურ ცვლილებას. საპროექტო ტერიტორიაზე არ არის აღრიცხული დაცული და ჭრააკრძალაული სახეობები. ასევე ლანდშაფტის ღირებული ელემენტები. საწარმოს ირგვლივ არსებული მწვანე საფარი საძოვარი და სასოფლო სამეურნეო სავარგულები არ განიცდის ცვლილებასა და დეგრადაციას. საწარმოს მოწყობის შემდეგ ტექნოლოგიური პორცესები შემდგომში უნიშვნელო გავლენას იქონიებს საწარმოს მიმდებარედ მოხინაღრე მინდვრის მდნელებზე და ენტოფაუნაზე.

15. დაგეგმილი საქმიანობის თავსებადობა ჭარბტენიან, ტყით მჭიდროდ დაფარულ, დაცულ ტერიტორიებთან და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან

საქმიანობის განხორციელების ადგილი დიდი მანძილით არის დაშორებული ჭარბტენიანი ტერიტორიებიდან, ტყით მჭიდროდ დაფარულ, მჭიდროდ დასახლებულ უბნებთან და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან. საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ 500 მ -ის რადიუსში არ ფიქსირდება აღნიშნული ობიექტები, რაც დასტურება მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით. შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში აღნიშნულ ტერიტორიებზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს და რაიმე სახის ნეგატიური ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის.

16. ზემოქმედება ბუნებრივ ლანდშაფტსა და ბიოლოგიურ გარემოზე

საწარმო ბუნებრივი ლანდშაფტის სახეცვლილებას არ მოახდენს, რადგან:

- საწარმოო ფართი, რომელზეც საწარმოს მოწყობაა დაგეგმილი ათვისებული და სახეშეცვლილია;
- ობიექტის მოსაწყობად საჭირო არ არის შენობა-ნაგებობის მშენებლობა;
- საჭირო არ არის ხე-მცენარეების მოჭრა;
- საწარმოს მიმდებარედ რაიმე კონსერვაციული ღირებულების ეგზემპლარები არ არის განთავსებული;

აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საწარმოს მოწყობა -ექსპლუატაცია ვერ მოახდენს რაიმე გავლენას მცენარეულ საფარზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არ შეინიშნება ცხოველთა მრავალფეროვნება და გამორიცხულია მათზე უარყოფითი გავლენა.

17. ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება, ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

დაგეგმილი ტექნოლოგიური პროცესის დროს გამოყენებული ნედლეული მთლიანად უნარჩენოდ გადავა პროდუქციაში. ბალასტის მსხვრევა და გაცრა ქვიშა-ხრემის გადამუშავების შედეგად ნარჩენი არ წარმოიქმნება, ყველა ფრაქცია წარმოადგენს პროდუქტს.

ამდენად, ექსპლუატაციისას საწარმო ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

რაც შეეხება სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას, საწარმოს ტერიტორიაზე არ მოხდება ავტომობილების ზეთების გამოცვლა, საწარმოს საკუთრებაში არსებული ტექნიკის მიმდინარე რემონტი (მათ შორის გეგმიური ზეთის შეცვლა, საბურავის შეცვლა) განხორციელდება მომსახურების ცენტრებში.

სამსხვრევ დანადგარებს გააჩნიათ ზეთის რეზერვუარები, რომლის ზეთის გამოცვლაც ხდება დაახლოებით წელიწადში ერთხელ (დამოკიდებულია წლის განმავლობაში ნამუშევარ საათებზე). ნამუშევარი ზეთების დროებით შესანახად მოეწყობა სახიფათო ნარჩენების საცავი. წელიწადში მოსალოდნელია 100 კგ ნარჩენი ზეთის წარმოქმნა. ნარჩენების მართვა მოხდება საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად. საწარმოში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების გატანისა და შემდგომი უტილიზაციისთვის გადაეცემა უფლებამოსილ კომპანიას შესაბამისი ხელშეკრულებით.

მუშა-პერსონალის მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მიზნით დაიდგმება ნაგვის ურნები და ნაგვის ბუნკერი და გაფორმდება ხელშეკრულება მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე გასატანად.

იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოში მომსახურე პერსონალი რაოდენობა იქნება 6 ადამიანი, წლის განმავლობაში მოსალოდნელი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა იქნება: $6 \times 0.7 = 4,2 \text{ მ}^3$ (0,7მ³ ერთ მომუშავე ადამიანზე წლის განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების საშუალო რაოდენობაა).

18. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზემოქმედების ძირითადი რეცეპტორებია: მომსახურე პერსონალი და ასევე მიმდებარე მაცხოვრებელი. მათ უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის, რადგან საწარმოში არ არის გამოყენებული მაღალ ტემპერატურასა და წნევაზე მომუშავე დანადგარები, სახიფათო და ტოქსიკური ნივთიერებები.

საწარმოში დაცული იქნება შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის პირობები: დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, ასევე უზრუნველყოფილი იქნება მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობა და გათვალისწინებული იქნება შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების ზედმიწევნით დაცვა. რაც საქმიანობის პროცესში მინიმუმამდე შეამცირებს უარყოფითი ზემოქმედების რისკებს.

19. კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია, საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული, არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე საქმიანობების განხორციელებით მოსალოდნელი მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად, გაცილებით მაღალი და საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია.

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში, საქმიანობის სპეციფიკიდან და განთავსების ადგილიდან გამომდინარე, კუმულაციური ზემოქმედების ერთადერთ საგულისხმო სახედ უნდა მივიჩნიოთ ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება და ხმაურის გავრცელება, კერძოდ, საწარმოს და მის მიმდებარედ არსებული საწარმოების ერთდროული ფუნქციონირების შედეგად გამოწვეული ხმაურის ჯამური ზეგავლენა გარემოს სხვადასხვა რეცეპტორებზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ საწარმოს გავლენის ზონაში (საწარმოს მომიჯნავედ და მიმდებარე არეალში საწარმოს გავლენის ზონაში მიმდებარე არეალში, 500 მ რადიუსში არ არსებობს არანაირი ტიპის საწარმო, არც ანალოგიური ტიპის საწარმო.

საპორექტო ტერიტორიიდან 700 მ მანძილის მოშორებით ჩრდილო-აღმოსავლეთით განთავსებულია შპს „გზამშენი 2005“ ასფალტბეტონის საწარმო (საკ. კოდი: 53.11.45.022) შპს „გზამშენი 2005“-ის ასფალტბეტონის წარმოებაზე სამინისტროს 04/02/2021 წლის N 2-178 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და შპს საგზაო-სამშენებლო სარემონტო კომპანია „სერპანტინი“ (საკ. კოდი: 53.11.45.010)

შპს „საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინის“ ასფალტბეტონის ქარხნის ფუნქციონირებაზე გაცემულია 17/05/2021 წლის N2-676 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ამდენად, არსებული საწარმოებისა და დაგეგმილი საწარმოს ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად, ასევე საწარმოებს შორის არსებული მანძილის გათვალისწინებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

20. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

სოციალური და ეკონომიური თვალსაზრისით საწარმოს საქმიანობა შეიძლება შეფასდეს როგორც დადებითი. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილობრივი მოსახლეობიდან 6 ადამიანი იქნება დასაქმებული.

საწარმოს ფუნქციონირება ხელს შეუწყობს თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტის შევსებას და მომუშავეთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. საწარმოში დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ არის (6 ადამიანი), მაგრამ წარმოების განვითარება შესაძლებლობას ქმნის მომავალში გაიზარდოს დასაქმებულთა რიცხვი. ასევე საწარმოში წარმოებული პროდუქციის შემდგომ გამოყენებაზე დასაქმდება ადამინათა გარკვეული რაოდენობა. საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია ქვიშა და ღორღი ხელს შეუწყობს სამშენებლო სამუშაოების წარმოებას, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას და ახალი წარმოებების ამოქმედებას.

დანართი



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთა
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23002445, 10/01/2023 22:04:53

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს დაგი+
სამართლებრივი ფორმა: შემღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 412671657
**რეგისტრაციის ნომერი,
თარიღი:** 03/05/2010
**მარეგისტრირებული
ორგანო:** სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, წერეთლის ქუჩა, № 192

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარიობის პროცესის
მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- პარტნიორთა კრება

ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა

- დირექტორი - გიგა ფალიანი, 21001009400

კაპიტალი

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
გიგა ფალიანი, 21001009400		33%
დავითი გოგრიჯიანი, 60001021531		34%
მერაბი ყიფიანი, 60001012303		33%

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R21149490 15/02/2021 18:30:56**
კრედიტორი : სს „პროკრედიტ ბანკი“ (საქართველო) 204851197
მესაკუთრე : შპს დაგი+ (საქართველო) 412671657
საგანი: არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : ხელშეკრულების მუხლი 3-ის 3.1
პუნქტით გათვალისწინებული მოძრავი ქონება
საფუძველი: რეგისტრირებული გირავნობის ხელშეკრულება, 670762794-
316451325, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 15.02.2021

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

2022 წლის პირველ იანვრამდე რეგისტრირებული სუბიექტი ვალდებულია 2022 წლის 1 იანვრიდან 2 წლის განმავლობაში უზრუნველყოს სარეგისტრაციო მონაცემების 04.08.2021 წ. „შენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანა. კანონით გათვალისწინებულ ვადაში ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სუბიექტის რეგისტრაცია გაუქმებულად მიიჩნევა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;

- ამონაწერი ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405 405 ან პირადად შევსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405 405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405 405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022962479 - 21/12/2022 15:03:54

მომზადების თარიღი
21/12/2022 16:07:47

საკუთრების განყოფილება

ზონა თელავი	სექტორი ვარდისუბანი	კვარტალი 39	ნაკვეთი 600	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 4002.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი:
53	08			

მისამართი: მუნიციპალიტეტი თელავი, სოფელი ვარდისუბანი

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882022962479 , თარიღი 21/12/2022 15:03:54
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 21/12/2022

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი: 21/12/2022 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:

გიგა ფალიანი ,P/N: 21001009400

მესაკუთრე:

გიგა ფალიანი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის


"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაესეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

882021317641

ზედდების სიტუაციური ნახაზი

53.08.39.600



მიმდინარე ნაკვეთის კონტური



გადადებული(ზედდებული) ნაკვეთის კონტური

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 530839600
 განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882021317641
 მიწის ნაკვეთის ფართობი: 4002 კვ.მ.
 დანიშნულება: 18.05.21
 მომზადების თარიღი:



მასშტაბი: 1:1,000 0 2 4 8 12 მეტრი

	შენიშვნა-ნაკვეთის, პირობითი ნომერი/სართულიანობა		ვალდებულება		სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნაკვეთი
	მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი		შემენებარე ნაკვეთი		სახობრივი ნაკვეთი

საერთაშორისო (საერთაშორისო)



საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტო

საკადასტრო კოდი: **53.08.39.600**

ნაკვეთის დანიშნულება:


სასოფლო-სამეურნეო

განცხადების ნომერი: **882021317641**

ფართობი:

4002 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)

მომზადების თარიღი: **10/10/2021**



მშენებარე ნაგებობა	ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	მენობა/ნაგებობა
ხაზობრივი ნაგებობა	ტყის ფონდი	ვალდებულება

თელავის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლევან ანდრიაშვილს

ბატონო ლევან,


2023 წლის 23 თებერვალს შპს „ელსჰაუს“ გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის მომზადების თხოვნით მომართა კომპანია შპს „დაგი +“-მა (ს/კ 412671657), რომელსაც თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში (საკ. კოდ: 53.08.39.600) დაგეგმილი აქვს ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა.

ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 10.3 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობაა, ამიტომ მას ესაჭიროება შესაბამისი ნებართვა. რისთვისაც გარემოსდაცვის სამინისტროს უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის ფუნქციურ ზონასთან თავსებადობის შესახებ, მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, გვაცნობოთ აქვს თუ არა დამტკიცებული თელავის მუნიციპალიტეტის მერიას სოფელ ვარდისუბნის გენერალური გეგმა, დადებით შემთხვევაში რომელ ზონას მიეკუთვნება აღნიშნული ტერიტორია.

პატივისცემით,

შპს „ელსჰაუსი“-ის დირექტორი
ზვიად კვაბზირიძე





თელავის მუნიციპალიტეტის მერია
CITY HALL OF TELAVI MUNICIPALITY



წერილის ნომერი: 26-2623068133
თარიღი: 09/03/2023

ადრესატი: შპს ელსპაუსი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 412756334
მისამართი: საქართველო, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ., N 68, სართული 2, ბინა N7

შპს „ელსპაუსი“-ს დირექტორს

ბატონ ზვიად კვაბჭირიძეს

ტელ. 577 74 77 33

ბატონო ზვიად,

თქვენი მიმდინარე წლის 24 თებერვლის (რეგისტრაციის N:10/26230559-26) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ დღეის მდგომარეობით არ არსებობს სოფელ ვარდისუბნის განაშენიანების გენერალური გეგმა.

პატივისცემით,

ლევან ანდრიაშვილი


თელავის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



გსურთ აბლიკაციის გამოყენება?






#	x	y
1	534654.91	4642113.6
2	534646.17	4642106.09
3	534634.11	4642085.77
4	534623.1	4642071.17
5	534609.34	4642060.8
6	534597.7	4642055.29
7	534592.62	4642049.79
8	534591.57	4642046.65
9	534593.89	4642042.38
10	534644.64	4642038.52
11	534654.47	4642037.01
12	534667.76	4642034.97
13	534687.24	4642037.51
14	534696.18	4642040.58
15	534684.08	4642061.98
16	534674.24	4642079.39
S = 4002 კვ.მ		

WGS 84 / UTM zone 38 N

მაშტაბი: 1:700





#	x	y
1	534654.91	4642113.6
2	534646.17	4642106.09
3	534634.11	4642085.77
4	534623.1	4642071.17
5	534609.34	4642060.8
6	534597.7	4642055.29
7	534592.62	4642049.79
8	534591.57	4642046.65
9	534593.89	4642042.38
10	534644.64	4642038.52
11	534654.47	4642037.01
12	534667.76	4642034.97
13	534687.24	4642037.51
14	534696.18	4642040.58
15	534684.08	4642061.98
16	534674.24	4642079.39
S = 4002 კვ.მ		

WGS 84 / UTM zone 38 N

მასშტაბი: 1:700

PERMANENT AIR WASHING



53.08.39.600



53.08.39.600



53.08.39.517

53.08.39.567

53.08.39.516

53.08.39.289

ს. ვარდისუბანი

53.08.39.036

53.08.39.051

53.08.39.109

53.08.39.219

53.08.39.074

53.08.39.074

53.08.39.558

53.08.39.510

53.08.39.549

55.00.103

ს. ვანდისუბანი

53.08.42.338

53.08.42.179

53.08.39.389

53.08.42.267


53.08.42.212

53.08.42.342

53.08.39.516

ს. ვანდისუბანი

გენ-გეგმა



1. ნედლეულის (ქვიშა-ხრეშის) განთავსება ღია საწყობზე (გ-1 წყარო)
2. გაფრქვევა ნედლეულის (ქვიშა-ხრეში) საწყობიდან (გ-2 წყარო)
3. ნედლეულის მიმღებ ბუნკერში ჩაყრა (გ-3 წყარო)
4. ყბებიანი სამსხვრევი (გ-4 წყარო)
5. ლენტური ტრანსპორტიორით გადადგილება (გ-5 წყარო)
6. მზა პროდუქციის (ქვიშა-ლორღის) ჩამოყრა (გ-6)
7. მზა პროდუქციის (ქვიშა-ლორღის) ღია საწყობებზე განთავსება (გ-7 და გ-8 წყარო)
8. გაფრქვევა მზა პროდუქციის (ქვიშა-ლორღის) ღია საწყობიდან (გ-9 და გ-10 წყარო)





